№ 35 თებერვალი 15, ოთხშაბათი 1889 თებერვალი 15, ოთხშაბათი № 35

**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ტფილისის ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი აცხადებს საყოველთაოდ, რომ, ტფილისის ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილებისამებრ 19 დეკემბერს 1889 წელს, ხუთშაბათს, 16 თებერვალს, ვანქის ტაძარში, დილის 11½ საათზედ, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის გ რ ა ფ ი ს მ ი ხ ე ი ლ ტ ა რ ი ე ლ ი ს ძ ი ს ლ ო რ ი ს-მ ე ლ ი ქ ო ვ ი ს ა. (2—1)

ქართული თეატრი

უკანასკნელი წარმოდგენა

**ოთხშაბათს, 15 თებერვალს,**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**ბედნიერი დღე**

კომედ. 3 მოქ.

II

**უცნაური გაცნობა**

ვოდ. 1 მოქ.

III

**კაცის ღონეს ქალის ხერხი სჯობიაო**

ვოდ. 1 მოქ.

IV

**დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი**

ბ-ნი აწყურელი წაიკითხავს კინტოურს ლექსებს.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 7½ საათზე.

დიდ-მარჯვაში, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, ყოველ კვირა სალამოობით

ისაუბრებენ ქართულად

ქრისტიანობრივს სარწმუნოებასა და ზნეობაზედ

მღვდელნი ამა ეკკლესიისანი: მაჭარაშვილი, თოთიბაძე და მასწავლებელნი: ურჩელიძე, ნატროშვილი, ჯანაშვილი და მარჯანიძე. (3—1)

ტფილისი, 14 თებერვალი

დასავლეთ ევროპის ერთა ურთიერთობა რომ მეტად დახლართული და გაძნელებულია, ამაში ეჭვი არ არის. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ევროპიელი საზოგადოება დიდის ეჭვის თვალით უყურებს მერმისს და არ იცის ხვალინდელი დღე რას მოუტანს და როგორ გათენდება. ამაზე საჩივარი მუდამ დღე ისმის. ყველანი ჰგრძნობენ, რომ ეხლანდელი ერთაშორისი განწყობილება ერთა მჩაგვრელი და დამღუპველია, მაგრამ ნუგეშის ხმა-კი არსაიდგან ისმის. ამიტომაც არის, რომ ეს საჩივარი თანდათან მატულობს. ევროპის სახელმწიფონი ერთმანეთს მტრულის თვალით უყურებენ და თითქო იმასა ჰფიქრობენ, რომ თუ არ ხმლითა და თოფ-ზარბაზნით, თავ-თავისი დაცვა და სხვებთან მორიგება ყოვლად შეუძლებელიაო. თითქო დარწმუნებულნი არიან, რომ თუ არ სისხლის ფასად, სხვაფრივ მოუხერხებელია ერთმანეთთან ანგარიშის გასწორებაო.

აი ასე საეჭვო და გაჭირებული ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა. ამ გაჭირებასთან ერთად ევროპას სხვა გარემოებაც აწუხებს და გულს უკლავს. ეს გარემოება ის არის, რომ თითქმის ყველა სახელმწიფოს აწეწილ-დაწეწილი აქვს შინაური საქმე და არ იცის, თუ რა საშუალებითა და როგორ დაუმკვიდროს ერს მყუდროება, წესი და რიგი. ამ ჟამად ევროპაში თითქმის არც ერთი სახელმწიფო არ არის, რომელსაც რაიმე შინაური განსაცდელი არ ედგას თვალ-წინ. საფრანგეთში, როგორც მოგეხსენებათ, გაიმარჯვა ბულანჟემ და თითქმის სრულიად მოულოდნელად გადადგა ფლოკეს სამინისტრო, რომელიც მხნედ და გულმოდგინედ ებრძოდა ყველას, ვინც ძირს უთხრის რესპუბლიკურს წესწყობილებას. ესე იგი პალატამ ხმის უმეტესობით დაადგინა, რომ კონსტიტუციის გადასინჯვა გადადებულ იქმნას სხვა დრომდე, მაშინ-როდესაც ერის დასამშვიდებლად და გულის მოსაგებლად ეგ გადასინჯვა აუცილებლად საჭირო იყო. ეჭვი არ არის, რომ პალატის ამ გვარი საქციელი გააძნელებს საფრანგეთის შინაურს მდგომარეობას და რესპუბლიკის მტერნი ყოველს ღონის-ძიებას იხმარენ, რათა ძირი გამოუთხარონ რესპუბლიკას.

არც იტალიაში ჰსუფევს შინაური მშვიდობიანობა. უკვე იცით, რომ რომსა და სხვა ქალაქებშიაც ილაჯგაწყვეტილმა, ულუკმა-პუროდ დარჩენილმა მუშებმა უწესოება მოახდინეს, რომში მაღაზიები დაამტვრიეს და აცნობეს მართებლობას რომ ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა ერისა მეტად გაჭირებულია. აგრეთვე ვენგრიაშიაც რამდენიმე მანიფესტაცია მოახდინეს ტისსას წინააღმდეგ. რუმინიაში გლეხ-კაცობამ ამბოხება მოახდინა. სერბიაში მართებლობას წინ აღუდგნენ რადიკალები. ინგლისსა და გერმანიას მრავალი საშინაო საქმე აქვსთ.

ყველა ეს გარემოება იმას ჰმოწმობს, რომ დასავლეთ ევროპის საშინაო მდგომარეობა საიმედო არ არის. რითი გადასწყდება და როდის დასრულდება ევროპის სახელმწიფოთა შინაურ და გარეშე საქმეთა აშლილობა, ამას მერმისი გვიჩვენებს. ეხლა მხოლოდ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ძალიან საეჭვოა მშვიდობიანის საშუალებით გაუძლოს ევროპა ამ გაჭირებულს მდგომარეობას. საქმეც ის არის, რომ ციხე გარედგანაცა და შიგნიდგანაც უტყდება.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 13 თებერვალს, ბანკის თეატრში დანიშნული იყო ბენეფისი მ. ი. ლილინისა. წარმოადგინეს „Друзья-пріятели“, ოთხმოქმედებიანი კომედია, თ. კუგუშევის მიერ ფრანგულიდგან გადმოკეთებული, და ვოდევილი „Любовь и кошка“. სხვათა შორის მონაწილეობას იღებდა, როგორც გამოცხადებული იყო დიდის ასოებით, ჩვენი არტისტი ვ. აბაშიძე და თამაშობდა ვილაც უგვარო და ყოვლად უშნო უხლუმ-კუხლუმ ბერდიშის როლს. გვიკვირს, რად იკადრა ჯერ ბ-ნმა ფორკატიმ და მერე ვ. აბაშიძემ და არ გამოსტოვეს პიესიდგან ეს უაზროდ ჩაკვიატებული, ყოვლად უწმაწური როლი, რომლის გამოტოვება არამც თუ არაფერს დააკლებდა პიესას, პირ-იქით, გააშნოიანებდა კიდეც. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო.

*** ერთობ დაურიდებლივ გაჩქარე-

# ფელეტონი

## ისტორიული მიმოხილვა *)

### IV

განვიხილოთ ახლა ჩვენი სარწმუნოება, წარმართული და ქრისტიანობრივი.

დაშთენილა ჩვენში ძველი სახელები დღეებისა, რომელთაგან ზოგიერთნი იხმარებიან თვით ძველ წიგნებშიაც. აი ეს სახელები: ორშაბათი — მთოვარისა, სამშაბათი — არესი, ოთხშაბათი — ერმისა, ხუთშაბათი — აფროდიტისა, პარასკევი — დიასი, შაბათი — კრონოსი, კვირა — მზისა და საუფლო (ლექს. საბა ორბელიანისა და ჩუბინაშვილისა). როგორც ვხედავთ, ეს სახელები კერპების სახელებია, წარმართების ღმერთებისა *).

ბერძენ-რომაელთა მწერალნი ჩვენს კულტსაც შეეხებიან. იგინი დაწვრილებით აღწერენ როგორც ზემორე დასახელებულ ღმერთებს, ისე სხვებსაც.

ფაზს რომ გაჰყვე, ამბობს აპოლონ როდოსელი, მიხვალ ქითაის მეფის ციხესთან და დაინახავ ღმერთის არეას ტაძარს ჰალაკითურთ. ამავე ტაძარს აღწერენ თითქმის ყველა ბერძენთა მწერალნი, რომელნიც მოგვითხრობენ არგონავთელების მოგზაურობას. მათის თქმით, არეა იყო ქვისაგან ნაშენი, გარს ევლო გალავანი, მცველებად ჰყავნდა გველები და დარაჯები. არეას საყვარელი საქმეა ომი.

დიას ტაძარი (ცისკრისა) იყო დიოსკურს, აფხაზეთში. აფროდიტის ტაძარი ააშენა მეფე რევმა, არა სჩანსკი სად.

ღმერთი „დაირა“ „ამარანთის“ მთებში იყო დადგმული. ვინც ტაძრის დაირას გულს მოიგებს, მას ვერც მტრის ხმალი ავნებს, ვერც მტერი მოერევაო.

ჰეკატეს ტაძარს იცავდა გველი. მის არე-მარეს ლამპრები ანათებდენ.

ზევსის ტაძარი იყო გენეთეს (ქსენოფონტი).

ალბანელთა ღმერთი იყო მზე, ზევსი და მთვარე, უფრო-კი მთვარე, რომლის ტაძარი მდებარეობდა ივერიის მომიჯნავედ.

ახლად ნაპოვნ მეცხრე საუკუნის „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულია კიდევ სხვა ღმერთებიც: გაც, გაიმ, აინინა, დაინინა, ზადენი, ითრუშან, ზად, ფსარ და არმაზი.

ივერიაში მოგვობა, სტრაბონის თქმით, იყო მეორე წოდება, მათ ხელში იყო სამართალი.

ალბანიაში, იმისივე თქმით, შემდეგ მეფისა პირველ კაცად ითვლებოდა ქურუმი. მას ექვემდებარებოდა მთელი წმინდა ქვეყანა, რომელიც მჭიდროდ არის დასახლებულიო.

კერპებს ქართველები სალმთოებს სწირავდნენ. სხვათა შორის ადამიანსაც. სალმთოს შეწირვა და ლოცვა დღისითაც იცოდნენ და ღამეც, ღამის თევით. ვინც ღამის თევით მოიგებს ღმერთ-დედოფლის დაირას გულსა, იმას ვერაფერი ვერ ავნებსო.

კოლხიდაში მკვდრის დამარხვა არ სცოდნიათ. აპ. როდოსელი არგონავთელების ისტორიაში სწერს: კოლხიდაში ბევრი ვაზი და ტირიფებია. ჩვენ რომ მივედით, იმ ტირიფებზედ ჯაჭვებით მკვდართა გვამები იყო ჩამოკიდებული. კოლხთ ეხლაც დიდ ცოდვად მიაჩნიათ კაცის დაწვა ან დამარხვაო. მათ შეახვევენ ხარის ტყავებში და ქალაქის მოშორებით ხეებზედ დაჰკიდებენ ხოლმეო. დედაკაცებს-კი ჰმარხავენო. ეს წესი ზენდავესტაშია განმარტებული. არიელები იმიტომ არა სწვავდნენ და არ ჰმარხავდნენ მკვდრებსაო, რომ მიწა და ცეცხლი არ წაებილწათო. წესად იყო მკვდართა ყორულებში გადაყრა ფრინველთა და ნადირთა საწიწკნელად (ისტ. აღმოსავლ., ტ. II, გვ. 162, ლენორმანისა).

ესეთი იყო ძველი სჯული ქართველთა. წინანდელ კერპების ნაშთად დღეს მხოლოდ დაგვშთენია ზოგიერთი სიტყვები, ვითარცა: არე (მხარე ქვეყნისა, ოთხი დრო), ქურა (ქურუმი) და ზოგიერთი ჩვეულებანი, მაგ., ჰალაკთა და ნიშთა თაყვანის ცემა, მზისა და ალიონის პატივის-ცემა, ცეცხლის (კერის) უსალმთოესობა, კუდიანების ღამე ვნების ოთხშაბათს, იანვრის პირველს ცეცხლის განუქრობელობა და სხ.

მეოთხე საუკუნის დასაწყისს, ხუთის წლის თავზე ბერძენთ გაქრისტიანებისა, ჩვენშიაც შემოვიდა ქრისტიანობა. კერპობა დაიმხო. წინანდელი ტაძარნი ქრისტიანებრივ ტაძრებად გადაიქცნენ. ქართველთ გაქრისტიანებას აღწერენ, როგორც ჩვენი მატიანენი, ისე ბერძენთა და რომაელთ ნინოს თანამედროვე მწერალნი, მაგ., რუფინი, მოსე ქორენელი და სხ.

ქრისტიანობა ითვლება ყველაზე უპირველეს სარწმუნოებად სხვა სარწმუნოებათა შორის. იგი ყველა სარწმუნოებაზედ ჰუმანიურია, უპირატესია თვისის მაღალ-მნიშვნელოვან მოძღვრებითა. იგი ჰმოძღვრებს კაცთმოყვარეობასა, სიყვარულს და სხ. საქართველოს ქრისტიანობის მიღებისათანავე კიდით-კიდე მოეფინა ნათელი ქრისტიანობისა, ყველა კუთხეში ჩვენის ქვეყნისა აშენდა დიდებულნი ტაძარნი და მონასტერნი. უკვე გამოკვლეულია, რომ ჩვენში არსებობენ ყველა საუკუნის საქრისტიანო ნაშთნი; მაგალითად, ბოდბისა, ნაქალაქევისა და ნეკრესისა (IV საუკ.); ბოლნისის სიონი, ჰერემისა, ქალეთისა, მეტეხისა, ნიქოზისა და სხ. (V საუკ.); დავით-გარესჯისა, ზედაზნისა, იყალთოსი, ხირსისა, ულუმბოსი და სხ. (VI საუკ.); ანჩისხატისა, აწყურისა და სხ (VII საუკ.); არტანუჯისა (VIII საუკ.); ალავერდისა, ხახულისა (IX საუკ.); ბედია, ქუმურდისა, მარტვილისა, მოქვისა (X საუკ.); ელევისა, გელათისა, ზარზმისა, კუხისა, ლომისისა, მამებისა, მანგლისისა, მთაწმინდისა, სამთავისისა და მრ. სხ. (XI საუკ.); ახტალისა, ბეთანიისა, ვარძიისა, იკორთისა, კაპენისა და სხ. (XII საუკ); არკაზანისა, გუდარეხისა (XIII საუკ); ჰელენჯიხისა, მოწამეთისა, ფიტარეთისა, სამშვილდისა, საფარისა (XIV საუკ.); მცხეთისა, რუისისა, სამთავროსა (XV საუკ.);

*) იხ. „ივერია“ № 34.

**) დრეპერი ამბობს, რომ ესეთი სახელები კვირის დღეებისა, მომასწავებელნი კერპების სახელებისა, დაშთენილა ზოგიერთ ძველ ხალხებშიაც. ამიტომ ტყუილია ის აზრი, რომ ვითომ კვირის დაყოფა შვიდ დღედ გავრცელებულ იყოს სალმთო წერილიდამ. პირიქით, ძველად გავრცელებულ იყო აზრი, რომ ციურ პლანეტებს დიდი გავლენა აქვსთ ქვეყნის ცხოვრებაზედ. მაშინ ცნობილი იყო შვიდი პლანეტი: მზე, მთვარე, მარსი, მერკური, იუპიტერი, ვენერა, სატურნი და ამდენივე ლითონი. ოქრო ითვლებოდა სალმთოდ მზისა, ვერცხლი მთვარისა და სხ. ამგვარადვე განაწილებული იყო დრო, მაგ., შვიდი დღე კვირისა განაწილებული იყო შვიდის პლანეტის მიხედვით. წოდებანი დღეთა და მათი რიგი განისაზღვრებოდა ამ პლანეტთა გამოჩენის ხნის მიხედვით. პლანეტთა გამოჩენის რიგი უკვე ცნობაში მოყვანილი იყო. რომელი პლანეტიც გამოჩნდებაო დღის პირველ საათს, იმ დღეს იმავე პლანეტის სახელი ეწოდებოდა. (Исторія умств. развит. Европы, გვ. 333, ტ. II, დრეპერისა).

ბით ატარებენ სასმელების მატარებელ ეტლებს. ამას წინად ავლაბარში დაეჯახა ეტლი ერთს დედაკაცს, რომელსაც ხელში ყმაწვილი ეჭირა. ყმაწვილი განზედ გადავარდა, თითონ ქალი-კი მოჰყვა ეტლს ქვეშ, ზედ გადუარა ეტლმა და მკლავები ძლიერ დაუშავა. დამნაშავე მეეტლე, რომელიც გადაკრულში იყო, წაიყვანეს პოლიციაში. იმ დღეებშივე ავლაბრის მეიდანზედ ბაკიდგან გამოქცეულმა ცხენმა გაიტანა ერთი მოხუცი.

*** დიდ მარხვაში ავლაბრის წმინდა მარინეს ეკკლესიაში კვირაობით ყოველ წირვა-ლოცვის შემდეგ გაიმართება საუბარი ქრისტიანობრივს სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე. როგორც შევიტყეთ, ისაუბრებენ მღვდელნი, შოშიევი, ბერძენოვი, ზუმბულიძე, გძელიევი და მასწავლებელი ბ-ნი ასათიანი.

*** **სოფ. ვაჩნაძიანი**: ამ თთვის 5 ჩვენ სოფელში იყო ყრილობა ახლო-მახლო მდებარე ექვსის სოფლის საზოგადოებისა. მაზრის უფროსმა გამოუცხადა ყრილობას, რომ შესაძლოა და საჭიროც არის ვაზის ავადმყოფობის წამლებისა, საჭირო იარაღისა და მასალის მოპოვებაო. ყრილობამ ერთ-ხმად გამოაცხადა, რომ არავითარს ხარჯს არ დავერიდებით, ოღონდ ჩვენს ვენახებს ეშველოს რამეო.

*** **სოფ. ურიათუბანი**: უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადოთ ადგილობრივ მღვდელს იროდიონ ჩეკუროვს, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ჩვენის საზოგადოების წინაშე. იმის შემწეობით დაარსდა ჩვენში სკოლა და აგრეთვე ბევრსა ჰშველის გაჭირებულთაც. წელს ბევრი სხვა-და-სხვა ავადმყოფობა: ქუნთრუშა, ყვავილი, მჭვალი და ციებ-ცხელება ეწვია ჩვენ სოფელს და აგრეთვე ჩვენს ახლო-მახლო სოფლებსაც, მაგრამ ჩვენ სოფელში იმდენი არ იმსხვერპლა ავადმყოფობამ, რამდენიც სხვა სოფლებში. ამ გაჭირების დროს ჩვენი მღვდელი ავადმყოფებს ყურადღებას აქცევდა და მუქთად წამლებს აძლევდა, რისთვისაც დიდს მადლობას ვუცხადებთ მამა მღვდელს.

*** **მარელისი** (რკინის გზის სადგური): ამ თთვის რვას ბელაგორის სადგურის მახლობლად ტფილისიდგან მომავალს საქონლის მატარებელს (№ 24) დაეჯახა წამოსული კლდის ზვავი და ორთქლით მატარებელი და ჩვიდმეტი ნავთით სავსე ქვაბი სულ ლუკმა-ლუკმა აქცია. საკვირველი ის არის, რომ მოსამსახურეთაგანი ერთიც არავინ დაშავებულა. ეს უბედურება მოხდა ღამის თერთმეტ საათზედ.

*** მეშვიდე განყოფილებაში, 12-ს ამ თთვისას, ქვრივმა ეკატერინე მაკაროვისამ ამოაჩინა, რომ იმის სადგომში ვიღაცეებს მოუპარავთ ოქროსი, ვერცხლისა და ქაღალდის ფული, სულ 1,500 მანეთი. ვისა და როდის მოუპარავთ, ჯერ არ იციან, ხოლო ეჭვი-კი მიტანილი აქვსთ.

*** 13-ს ამ თთვისას, ღამით, პოლიციამ შეიპყრო ნუხის მცხოვრები ქიარიმ-იერბალაი-ალი-ბაბა-ოღლი, რომელსაც თან უპოვეს ხუთი მოპარული ინდოური. ინდოურები პატრონს დაუბრუნეს. საქმე გადასცეს მოსამართლეს.

*** 13-ს ამ თთვისას, პანასევევის ქუჩაზე, ირისფუხოვის სახლს წინ, იპოვეს ბავშვი დედათა სქესისა. ბავშვი ორის წლისა იქნება. ყმაწვილი გაგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

◆◆

## წერილი გურიიდგან

(ასკანის ციხის ამბავი)

ამას წინად ერთი ამბავი ასტეხეს გაზეთებმა იმის გამო, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა აპირებდა დიდის ბაგრატის ეკკლესიის ქვები იჯარადრებისთვის დაეთმო, როგორც მასალა ახალის ეკკლესიის ასაშენებლად, მაგრამ როგორც ალასრულა გამგეობამ ეს თავისი განზრახვა, კარგად იციან მკითხველებმა. ღმერთმან ინებოს, რომ ხსენებულის გამგეობის მაგალითმა სხვებიც დააფიქროს.

ჩვენში ბევრია იმისთანები, რომელნიც არა თუ სცდილობენ შეაგროვონ და დაიცვან მასალები ისტორიისა, არამედ ანადგურებენ, სრულიად ანგრებენ და ჰღუპავენ. სამწუხარო ის არის, რომ ამას სჩადიან ზოგჯერ ისინიც-კი, ვისაც ცოტად თუ ბევრად უნდა ესმოდეს ძველის ნაშთების მნიშვნელობა.

როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, აგრეთვე გურიაშიაც მოიპოვება მრავალი ძველი ციხე-ეკკლესია, მაგრამ ჯერ იმათთვის არავის ყურადღება არ მიუქცევია.

მხოლოდ პატივცემულმა დ. ზ. ბაქრაძემ მოიარა ერთხელ გურია და დაათვალიერა ზოგი ძველი ნაშთი, ზოგი-კი სხვა-და-სხვა მიზეზის გამო არ უნახავს. თავისს თხზულებაში ჩამოთვლილი აქვს, სად რა უნახავს, მაგ., ლიხაურის (უკეთ „აჭისა") ციხე, შემოქმედის მონასტერი, ბახვი. ყოფილა აგრეთვე ასკანაში, მაგრამ შესანიშნავი ასკანის ციხე-კი არ უნახავს, რადგან, როგორც თითონ ამბობს, იმ დროს დიდი წვიმა ყოფილა[1]. ასკანის ციხე რომ დროზე ენახა პატივცემულს ისტორიკოსს, დარწმუნებულნი ვართ, ქართულს ისტორიასა და არხეოლოგიას მრავალ ძვირფასს ნივთებს შესძენდა, რომლებიც დაცული იყო იმ დროს ამ ციხეში და ამ ციხის ეკკლესიაში, თუ ოქროსა ანუ ვერცხლეულობასა, როგორც ფულად, ისე ავეჯეულობად. იქვე იპოვებოდა ნივთები თამარის დროისა. აგრეთვე აქ იყო სურათები ზოგიერთთა მეფეთა. ერთი სურათი, ვგონებთ, თამარისა ჩვენც ვიპოვეთ ეხლა, ხოლო საუბედუროდ მარტო თავი-ღა დარჩენილა. ყოველივე ესე დაცული იყო ბ-ნ ბაქრაძის მოგზაურობის დროს, ეხლა-კი არც ერთი ნივთი არ იპოვება, რადგან, ვინც-კი შედიოდა მერე ამ ციხეში, ყველას მიჰქონდა, თუ-კი რასმე იპოვიდა. ერთმა მოხუცმა გვიამბო, რომ მე გამოვიტანე სურათებით შემკული ორი ვერცხლის შანდალი და რადგან „ხატისა" იყო, გადავადნობინე ოქრომჭედელს და ჩემს ქალს მზითვად გავატანეო.

აი ამისთანა დღე ადგია გურიაში ძველის დროის ნაშთებს. აი კიდევ ერთი სხვა მაგალითიც: ვანის-ქედის ეკკლესიაში ინახებოდა რამდენიმე გუჯარი და რამდენიმე წიგნიც. მე თითონ მახსოვს, როცა ან ქუხილი, ან დიდი წვიმები და ან გვალვა იქნებოდა, მოხუცნი მოგროვდებოდნენ ეკკლესიაზე და სთხოვდნენ მთავარს: „სული გიცხონდება, ერთი ნათლისმცემლის წიგნს ჰკითხე, რას „სჩივა" (ნიშნავს) ესა და ეს მოვლენაო". მთავარი, რასაკვირველია, აღუსრულებდა თხოვნას, გამოიტანდა ამ წიგნს და წაიკითხავდა. ხალხს ძლიერ სწამდა, რომ, რასაც-კი იტყოდა ეს წიგნი (თუ როგორი წელიწადი იქნებოდა, ან მზე, ან მთვარე როდის დაბნელდებოდა ან სხვა), უთუოდ აღსრულდებოდა. მამა მთავარი გარდაიცვალა ამ რამდენიმე წლის წინედ და იქ ეხლა არც ერთი ძველი წიგნი აღარ მოიპოვება. ბევრი სხვა მაგალითებიც ვიცით, მაგრამ ეხლა ესეც კმარა. ეხლა დავუბრუნდეთ ასკანის ციხეს.

ასკანის ციხე, რომელსაც მრავალი შავი დღე უნახავს, შესანიშნავია გასაოცარის ხელოვნებით. ჩვენ ნახული გვაქვს გურიის ციხეები, ეკკლესიები და აჭის ციხეც, რომელიც, ბ-ნ ბაქრაძის სიტყვით, ძლიერ შესანიშნავი არის, მაგრამ ვგონებთ, რომ ასკანის ციხე, თუ უფრო შესანიშნავი არ არის, არც არაფრით ჩამორჩება.

ამ ციხის მდებარეობა სწორედ მშვენიერია. ყველაფრით შემკულ აჭარის მთიდგან გამოდის ერთი პატარა გორა, რომელიც თანდათან მაღლდება და ერთის ვერსის შემდეგ თავდება (3,400 ფ. ს.) აი, აქ არის აგებული ეს ციხე. მისვლა ამ ციხეზე მხოლოდ ერთის გზით შეიძლება, სახელდობრ აჭარის მთის მხრიდგან. მიხვალთ თუ არა ციხეში თვალ-წინ გადაგეშლებათ მშვენიერი სურათი მთელის გურიისა: მთები, მდინარეები, ტყეები და სხვანი. თვით ციხის ძირში მდ. ბახვის წყალია. სასიამოვნო სანახავია მეტადრე საღამოობით, როცა შავ ზღვაზე გემებს დაინახავთ. მიუახლოვდებით თუ არა ციხეს, შეგხვდებათ პირველი კედელი ციხის გალავანისა, რომელიც სიმაღლით სამი საჟენია, სისქით-კი ერთი.

მარცხნივ კუნჭულში. ამ კედელს ერთი ქვის კარი აქვს. ამ კარით კაცს შეუძლიან შევიდეს ციხის პირველ გალავანში, სადაც დაინახავს მრავალ ქვევრს, ქვის აუზებს. აქ არის ერთი „წლის სათვალავი" ქვევრი. „წლის სათვალავი" ეწოდება იმისთვის, რომ რამდენიც დღე არის წელიწადში, იმდენი „საწყავი" ღვინო ჩადის შიგ. ჩახვალთ თვით ციხის ეზოში, და დაინახავთ უზარმაზარს ქვებს შესავალში სდგას ერთი სუფთად გათლილი, როგორც გარედგან, ისრე შიგნიდგან, ოთხ-კუთხიანი ქვა, სიმაღლით ორი საჟენი და სიგანით ერთი. ეს ქვა სავსეა წყლით.

აქვე ერთს კუთხეში კედელია გამონგრეული[2], სადაც აღმოჩნდა კაცის ჩონჩხი. ეს ჩონჩხი იმ უხსოვარის დროისა უნდა იყოს, როცა ჩვეულებად ჰქონდათ კაცის დატანება შენობის საძირკველში[3].

1) „Краткій очеркъ Гуріи, Чурукъ-Су и Аджары", Д. Бакрадзе, 1873 г.

2) ეს კედელი გამოანგრევინა 1884 წელს მაზრის უფროსმა, როცა მან ნახა ეს ციხე, გასასინჯად, თუ რამდენად მაგარი არის ნაშენიო, და გამოჩნდა ეს ჩონჩხი.

3) ამ ჩვეულების შესახებ და აგრეთვე ამ ციხის შესახებაც მე მაქვს შეკრებილი ხალხში დარჩენილი ლეგენდები და ლექსები და შემდეგში იმედი მაქვს ზოგიერთი ამათგანი მოგაწოდოთ.

ლურჯ-მონასტერი, შემოქმედისა, შუამთისა, ლიხაურისა XVI საუკ.); მჭადის ჯვარი და სხ. (XVII საუკ.); ანანურისა, ქაშოეთისა, უდაბნო გურიაში (XVIII საუკ.).

გარდა ამისა დღეს აგრეთვე აღიარებულია და საბუთებით დამტკიცებული, რომ ქართველთ როლი ამ მხრივ მარტო საქართველოში არ დასრულებულა. ეს კაცთ-მოყვარე სჯული ქართველთ მოუფენიათ კავკასიის ყველა მთიელებში, ლეკებსა, აფხაზებსა, ოსებსა და ჩერქეზ ღლიღვლებში. თითქმის ყველგან აქ დასახელებულ ტომთა ქვეყნებში დაშთენილა კვალი ქართველთ მოღვაწეობისა. ესენი ნაშთნი არიან ნიშნი, ეკკლესიანი ქართულის ზედ-წარწერით, ქართული სახარებანი და საღმრთო წიგნები.

და არა თუ მარტო მეზობელ ტომთა შორის ჩვენ წინაპართ უვრცელებიათ ქრისტიანობა, არამედ მათს მფარველობის ქვეშ ყოფილა ქრისტიანობა პალესტინისა და საზოგადოდ წმიდა ქვეყნებისაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ამას ჰმოწმობენ, როგორც თვით იერუსალიმის პატრიარქნი და აგრეთვე ქართველ მოღვაწეთა ნამოქმედარი ხსენებულ ქვეყნებში. ქრისტიანეთა სახსნელად ქართველთ მეფენი არ იშურებენ მამულებს, ფულსა და სხ. მაგალითად თამარ დედოფალი სწირავს 200,000 დრაჰკანს, რომ ბარბაროსთა ქრისტიანებს დაუბრუნონ წართმეული მიწები და სხ. ქართველები აშენებენ მრავალს ეკკლესია-მონასტრებს წმინდა ქვეყნებში: პალესტინას, სინას, ათონს, ანტიოქიას. ამას ჰმოწმობენ ზედ-წარწერანი ტაძრებისა და უცხოელთ მწერალნიც. სხვათა შორის ამ საგანზე იხილე ძვლად მისაჩნევი თხზულება პროფეს. ცაგარლისა „**Памят. Груз. старины въ св. землѣ и на Синаѣ**" აგრეთვე იმისივე „**Свѣд. о памятн. груз. письмен.**", წიგნაკი „**Аѳонскій иверскій монастырь**".

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ საკმაო არ არის ხალხისათვის მარტო ქრისტიანობის მიღება, საჭიროა აგრეთვე ქრისტიანობის დაცვა და წესიერად წარმართვა. ამ მხრივ მგონი მარტო უმეცრებას შეუძლიან დააყვედროს რამ ქართველებს. ბატონი მარკოვი ამბობს: „მართლ-მადიდებელი ჯვარი შეიქმნა მამულად ქართველისა, სიმბოლოდ მისი ეროვნობისა, ქრისტიანობის მფარველობა—დასაბამად მთელის მისის ისტორიისა. ქართველი ხალხი ნამდვილი ჯვაროსანი ხალხია ვითარცა რაინდი ჯვაროსანი, ამ ხალხის ცხოვრება იყო ლოცვა და თან სისხლის მჩქეფი ბრძოლა ისლამის შესამუსვრელად. ათას წელიწადზე მეტია, იგი მახვილს არა სტოვებს ხელიდგან და თუ საქრისტიანო ჯვარი არ იყო ჩაქსოვილი მის ქლამინდზე, მაგიერად აღბეჭდილ-გამოქანდაკებული იყო ამ ხალხის გულზედ".

თვალ საჩინოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში ქრისტიანობა არსებობს აგერ 15 საუკუნეა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ეკკლესიამ არ იცის არც ერთი მწვალებლობაცკი! მართალია, ცრუ მობიდანი მიეკედლა ნესტორის მწვალებლობას და ანტონ კათოლიკოსი ფრანგობას, მაგრამ ფხიზელი სამღვდელოება დროიანად წინ აღუდგა მათ და დასაწყისშივე მოსპო განხეთქილება წმიდა ეკკლესიაში. საქართველოს ეკლესიას გარშემო ერტყა ურწმუნოება, უსჯულოება, სომხეთის სამღვდელოება მე-5—6 საუკ. ებრძოდა საქართველოს მართლ-მადიდებლობას, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველთა წინ-დახედულობამ ყოველსავე მედგრად გაუძლო... ქრისტიანობისთვის მოწამებრივი გვირგვინი დაიდგეს ნაზ-ბუნებოვან ქალთაც, მეფე-დიდებულ-გლეხთაც, მაგრამ ქრისტიანობას-კი არ უღალატეს და არა თუ არ უღალატეს, არამედ, შეძლებისამებრ, დაიცვეს იგი ჩვენშიაც და უცხოეთშიაც ურჯულოთა წაწყმედისაგან. „იერუსალიმის პატრიარქთა ისტორიაში" მოყვანილია მრავალი საბუთები ჩვენის აზრის დასამტკიცებლად. სხვათა შორის პატრიარქთა ეპისტოლეებში ქართველთა მიმართ ნათქვამია, რომ „შთამომავლობა ბაგრატიონთა და მათ მიერ წარმოშობილნი მეფენი (ეს სიტყვა ხმარებულია თვით ტექსტში), ე. ი. უკეთილმსახურესნი მეფენი ივერთანი, ადრიდგანვე შეიქმნენ მფარველნი და კტიტორონი წმიდისა და ცხოველთ-მყოფელისა საფლავისა უფლისა და სხვათა წმიდათა სათაყვანებელთაო... ეს მტკიცდება, სხვათა შორის, ერთის ქართულის, ვახტანგ გორგასალის, მიერ შედგენილ წერილით და დღესაც დაცულით წმ. გოლგოთაზე... იერუსალიმში იწყევება (ანაფემა) ყოველი, ვინც-კი ივერიელს გაარჩევს ბერძენისაგან...

ეს მართალიც არის. ქართველთ ქრისტიანენი ფრიად ცნობიერად, მხნედ მოეკიდნენ საქრისტიანო საქმეს. როგორც ვსთქვით, ადრევე შეისწავლეს სხვა-და-სხვა ენები, შეჰქმნეს საკუთარი სასულიერო ლიტერატურა. მრავალგან დააარსეს დიდნი მონასტერნი, განსაკუთრებით იმ ადგილებზედ, სადა წინად საწარმართო ღმერთნი, ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით შემკულნი, მრისხანებით დასცქეროდნენ გარემო სოფლებს. შემდეგ ხანგრძლივის ბრძოლისა ანტიოქიის საპატრიარქოსთან სრულიად განთავისუფლეს სამშობლო ეკკლესია გარეშე გავლენისაგან და დაადგინეს საკუთარი იერარქია კათოლიკოსის მოთავეობით. მაგრამ ამ განთავისუფლების შემდეგ ჩინურ კედლით არ შემოიზღუდეს თავი. პირიქით, ამის შემდეგაც ქართველები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიო საქრისტიანო საქმეებში. იგინი ესწრობოდნენ მსოფლიო კრებებს და თავისს ეკკლესიას ჰმართავდნენ თანახმად ამ კრებათა გარდაწყვეტილებისა. იგინი, როგორც მოგვითხრობს იერუსალიმის პატრიარქი, ჰშველოდნენ ყველა ქრისტიანეთ, განურჩევლად მათის გვარ-ტომობისა; იგინი გულის ტკივილით შეჰყურებდნენ ქრისტიანობის დამცირებასა და სიხარულით—მის წარმატებას და, როგორც ვსთქვით, ქრისტიანობის დასაცავად შინ თუ გარეთ არ იშურებდნენ არც თავისს ძალ-ღონეს, არც შეძლებასა და ქონებას. მოიგონეთ, მაგ., ქართველთ მონაწილეობა ჯვაროსანთა ომში, ქართველთ მხედრობისაგან ხსნა კონსტანტინოპოლისა სკლიაროსისაგან, დავით მეფისა და სხვათაგან დაცვა და მფარველობა პალესტინისა, სომხეთისა და სხვათა. მცირე ესე ერი შეძლებისამებრ გონებითადაც ეხმარებოდა ქრისტიანობას. როგორც ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, მაღალ ზნეობრივი ქრისტიანული რომანი „ბალავარი" მთელს ქრისტიანობაში გავრცელდა ქართულიდამ. იგი ბერძნულად ქართულიდამ სთარგმნა ექვთიმემ.

ესომ

აქვე არის პატარა ხელოვნურად აშენებული ეკკლესია, სუფთა თლილის ქვისა, და წააგავს იმ „ბაზილიკებს“, როგორსაც ქრისტიანები პირველ საუკუნეებში აშენებდნენ. ძლიერ შესანიშნავი არის შიგნით მორთულობა ამ ბაზილიკისა. ამ ეკკლესიაში იყო დაცული სურათები და მრავალი ძვირფასი ნივთი, რომლებიც ეხლა აღარ მოიპოვება. ეკკლესიასთან აშენებულია რამდენიმე ოთხ-კუთხიანი ოთახი. ამათში ერთი მეტადრე შესანიშნავია თავის სიმშვენიერით. აგრეთვე იპოვება შესანიშნავი გამოქვაბული კლდეები. ყოველივე ესენი ვეცდები შემდეგში აღვწერო, რამდენადაც შემეძლება, ეხლა კი მსურს გაცნობოთ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ეს ციხე.

თუმცა ეგ ციხე ასე შესანიშნავია, მაგრამ დღეს მეტადრე სამწუხარო მდგომარეობაშია. როგორც ზემოთ ვსთქვით, რაც-კი რაიმე კარგი იპოვებოდა ამ ციხეში, დღეს სადღაც გაჰქრა: დაიპარეს, წაიღეს და, ვისაც როგორც უნდოდა, ისე მოიხმარა. მაგრამ ამასაც არა სჯერდებიან, ზოგიერთის ბარბაროსობა იმ ზომამდე მისულა, რომ განუზრახავთ დანგრევა აუზებისა და თვით ეკკლესიისა და ამის მშვენიერის ქვების მოხმარება ბუხრებისა და სახლების ასაშენებლად. ამასთანავე ერთი ვინმე სალამოობით ამწყვდევს თხის ჯოგს ციხის გალავანში, რადგან აქ ვერც მგელი და ვერც ვერაფერი ნადირი ვერას დააკლებს.

რიგი არის ეხლავე მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება ადგილობრივმა მთავრობამ და ადგილობრივმა ბლაღოჩინმა.

პ. თ. კ—ძე

◆◆

# უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. უწესოება და მღელვარება ვენგრიაში ჯერ კიდევ არ მოსპობილა. ახალი სამხედრო კანონ პროექტი სწორედ ყელზე დაადგათ ვენგრიელებს და იმის გამო ლამის სამინისტროც გადააყენონ. უწესოება და ბრძოლა გაჩაღებულია როგორც ქუჩებზე, დაბა-სოფლებში, ისე მომეტებულად თვით პარლამენტში. ამ დღეებში სეიმის თავ-მჯდომარეს ამხანაგს გაბრიელ უგრონს უთქვამს, რომ, მართალია, პარლამენტში წესად არ არის მიღებული განსაჯოთ ხოლმე ნალაპარაკევი უმაღლესის მთავრობისა, მაგრამ მე მაინც იძულებული ვარ გავიხსენო ჩვენის ხელმწიფის პასუხი, რომელიც უბრძანებია მის უდიდებულესობას სეიმის პრეზიდენტის პეიშისათვის. ამ ბოლოს დროს ჩვეულებად შემოვიდა, რომ მთავრობა სულ მუდამ წინ იმას წამოგვიყენებს ხოლმე: ხელმწიფე იმპერატორი ასე ჰფიქრობს, ასეთი აზრი აქვსო და სხვანი. ამ გვარად ურევენ დასთა ბრძოლაში მის უდიდებულესობასაც, რომელიც ამ ბრძოლის გარეშე უნდა იდგეს (მემარცხენეთ მოსწონთ უგრონის ლაპარაკი). როგორც მინისტრი, ტისა პასუხის-მგებელია, თუ დააშავებს რასმე თავისის მოვალეობის ასრულების დროს, ამიტომ იმას წინადვე უნდა სცოდნოდა ის პასუხი, რომელიც იმპერატორმა პეიშს უბრძანა და რომელიც, კარგად რომ გავჩხრიკოთ, შევიწროება პარლამენტის თავისუფლებისაო (ამაზე საშინელი ხმაურობა ასტყდა. ორატორს დაუწყეს ყვირილი: წესიერად მოიქეც, წესიერადაო! და გააწყვეტინეს ლაპარაკი).

დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა სთქვა, რომ მე არ მეგონა, თუ ვენგრიელი მაგ ნაირს სიტყვებს იტყოდა პარლამენტშიო. (მემარჯვენეთ მოსწონთ ეს სიტყვა და გაცხარებულნი უკვრენ ტაშს). როგორც გნებავთ, ისე გაჰკიცხეთ და განსაჯეთ მთავრობის მოქმედება, ხოლო არას გზით არ შეიძლება შეეხოთ მის უდიდებულესობასაო.

შემდეგ ტისამ ილაპარაკა თავის გასამართლებლად და განმარტა, რა არის საპარლამენტო წეს-წყობილება და როდის ირღვევა იგი წეს-წყობილება: როცა უმრავლესობას აღარ ემორჩილებიან და ძალ-მომრეობით უნდათ დაიჩემონ მართვა ქვეყნისა, ან როცა მეთაურობა უნდა ქუჩამ ჩაიგდოს ხელში პარლამენტის უმრავლესობის გარეშე, მაშინ საპარლამენტო წესი უკვე დარღვეულიაო, სთქვა ტისამ. დეპუტატი გელფი არ დაეთანხმა ტისას: მე მაგ თეორიებს არ შევიწყნარებო. დეპუტატმა პოლონიმ სიტყვა გადაჰკრა ტისას. ამის გამო პრეზიდენტმა ბრძანა: ვსთხოვ წესიერად მოიქცეს დეპუტატი და აღარ იხმაროს ისეთი სიტყვები, რომელიც ტისას შესახება სთქვაო.

◆

# წვრილი ამბები

საზღვარ-გარეთის გაზეთებში შემდეგს ცნობებს ვპოულობთ იმის შესახებ, თუ გვირგვინოსანთა ადამიანთა შორის ვინ მისდევს და ვის უყვარს ლიტერატურა: ავსტრიის იმპერატრიცას პოეზია უყვარს, გეინეს აღმერთებს, თითონაც სწერს სიმღერებს და პაწია მანქანაზედ ჰბეჭდავს თავისის ხელით. ახალგაზდა ერც-ჰერცოგინია ვალერია ყოველ-წლივ უგზავნის თავისს პოემებს „დიოსკურის“ სალიტერატურო კომიტეტს, რომელმაც ეს პოემები ცალკე წიგნად გამოსცა სამსახურიდგან გადამდგარ მოხელეთა სასარგებლოდ. ჰოჰენცოლერნებს აგერ უკვე 50 წელიწადია არა უწერიათ-რა. მხოლოდ ფრიდრიხ მე-III გარდაცვალების შემდეგ შეიტყეს, რომ გერმანიის მემკვიდრე პრინცი სწერდა ყოველისფერზე. იმპერატრიცა ავგუსტაზე, იმისს დედაზე, ამბობენ, რომ რვეული აქვს და უკვე 60 წელიწადია ამ რვეულში სწერს თავისს ნაზრსა და ნაფიქრს ზოგიერთ იშვიათ და საგანგებო შემთხვევათა გამო, ხოლო ამ ნაწერებს არასოდეს არ გამოაცხადებსო. იმისი ძმის-წული, ქალიშვილი ფრიდრიხ-კარლისა, მარშებსა და ლექსებს სთხზავს, რომელთ შორის ზოგიერთი დაბეჭდილია საოჯახო ჟურნალებში. რუმინიის დედოფლის ლიტერატურაში მოღვაწეობა მთელმა განათლებულმა ევროპამ იცის. მის მიერ არის გამოცემული, სხვათა შორის, ავტორის დაუსახელებლად, სასაცილო პოემები და სხ. ამ პოემებში იგი ამტკიცებს, რომ მაიმუნად ყოფნა სჯობია კარის-კაცობასაო. პორტუგალიის მეფე დიდის გატაცებით სთარგმნის შექსპირს აგერ უკვე 25 წელიწადია და მნახველებს უკითხავს ხოლმე ამ დრამებიდგან ზოგიერთს ადგილებს. ინგლისის დედოფალმა ვიქტორიამ თავისს ცნობილს წერილებს შემდეგ ორ წიგნად დაჰბეჭდა თავისი შენიშვნები „სიცოცხლესა, სიკვდილსა და საუკუნოების“ შესახებ. დაქვრივებული იმპერატრიცა ვიქტორია დიდი ხანია სწერს თავისს დღიურს. განსაკუთრებით კობურგთა გვარეულობას უყვარს ლიტერატურასა და პოლიტიკაში ათასის სხვადასხვა საქმის გამოტყვრენა. პრინცი ალბერტი სწერდა წერილებს დედოფალ ვიქტორიას მინისტრებისათვის; ბელგიის მეფე ლეოპოლდ I-ლი წერილებით რჩევას და დარიგებას უგზავნიდა ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოებს; ჰერცოგმა ერნესტ საქსონ-კობურგ-გოტისამ ორი წიგნი დასწერა უკანასკნელ ნახევარ საუკუნეს პოლიტიკის საგანგებო ამბავთა შესახებ. ჰერცოგი საქსენ-მეინინგელი არხეოლოგია და დიდი მოყვარული თეატრთა; შვეციის მეფე ოსკარ მეორე—პოეტი და საპოლიტიკო მწერალი. ცნობილია აგრეთვე საისტორიო თხზულებანი ჰერცოგის ომალისა, საკვირველი—გრაფ პარიჟელისა და პამფლეტები პრინცის ჟერომ ბონაპარტისა.

— თავის მოკვლა ძალიან გავრცელდა ავსტრიაში. ამას წინად ერთი პორუჩიკი პრინცის ყელის გუსართა რაზმისა, ახლად გარდაცვალებულ ერც-ჰერცოგ რუდოლფის პანაშვიდს შემდეგ, დაბრუნებულა თუ არა სახლში, ჩაკეტილა ოთახში, დამდგარა სარკის წინ და რეგოლვერით მოუკლავს თავი. სტოლზედ შემდეგის შინაარსის ბარათი უპოვნიათ: „ღმერთი იყოს თქვენი გამკითხავი და მსაჯულიო“.

— იაპონიაში ამ 18 წლის წინად დაიბეჭდა პირველი, ერთად-ერთი გაზეთი (მანამდე ამ სახელმწიფოში გაზეთის ხსენებაც არ იყო). ეხლა-კი 575 იქნება თურმე ყოველ-დღიური და ყოველ-კვირეული გაზეთი თუ ჟურნალი.

— შვეიცარიელს, დასახლებულს ამერიკას, სენ-ლუიში, ალბერტს უანდერძნია 750,000 მანეთი ვოლაპუკის აკადემიის დასაარსებლად ფრიბურგს (შვეიცარიაში). ამას გარდა 400,000 მანეთი გადაუდვია იმათდა საჩუქრად, ვინც ამ ახალად გამოგონილს ენაზედ სხვა-და-სხვა თხზულებათ გადასთარგმნის. ამ კეთილის-მყოფელს შლეიერისთვის, ვოლაპუკის გამომგონისთვის, დაუტოვებია თავისი სახლი და პენსია 5,000 მან., რომელიც სიკვდილამდე უნდა ეძლეოდეს.

— ერთს ახირებულს სტატისტიკოსს გამოუანგარიშნია, რომ როტშილდის მთელი ქონება არ ეყოფა საზრდოდ თორმეტის წლის განმავლობაში ღორს, რომელსაც 6 ტახი ჰყავს და ოთხი ნეზვიო. თუ ვიანგარიშეთ, რომ ამ ოთხ ნეზვს პირველსავე წელიწადში თანასწორე რიცხვი გოჭებისა ეყოლებათ, მაშინ თორმეტს წელიწადს იმათი რიცხვი 33.550,230-მდე ავა. თითო ღორის შენახვა წელიწადში 2 მან. 50 კაპ. ვიანგარიშოთ და სულ დასჭირდება 83.875,575 მანათიო.

◆◆

# გასართობი

ამერიკელები დიდი ხანია განთქმულნი არიან საოცართა და მოულოდნელთა ტყუილთა და სიცრუეთა გამოტყვრენით, ხოლო უკანასკნელად ნიუ-იორკის გაზეთ „Sun“-ის სიცრუე-კი ყველას აღემატება და იქაც-კი გაუოცდებათ, სადაც იგი მოიგონეს. ეს პატივცემული გაზეთი თავისს მეთაურში დაჯერებით არწმუნებს მკითხველებს, რომ ჩვენი რეპორტერი შეცდომით, ერთის ავაზაკის მაგიერ, დაარჩეს და ჩვენც გადარჩენილი ავაზაკი მოვიწვიეთ რეპორტერადაო.

ამ ამბის მომთხრობ მეთაურს სათაურად აწერია: „უკანასკნელი ამბავი ჩვენის განთქმულის რეპორტერის პიკნიუსი“. აი შემდეგ რასა სწერს გაზეთი:

„საყვარელნო მკითხველნო! ყველა საყურადღებო შენიშვნები, მკვლელობის ამბები, ავაზაკობათა აღწერანი, ისეთ ავაზაკობათაც-კი, რომელნიც არავის უნახავს, ეკუთვნის კალამს ჩვენის თანამშრომელის რეპორტერის პიკნიუსას. პიკნიუსს არა ერთხელ გაუწევია ძიძობა და ძიძის ტანისამოსი ჩაუცვამს, ოღონდ-კი რომლისამე ქალის საიდუმლო შეეტყო; არა ერთხელ გარდაქმნილა მსახურად, ოღონდ დიდებულთა კაცთა ამბავი წვლილად გაეგო; ხშირად თავსაც-კი მოიმკვდარუნებდა, რომ სამკურნალოთა და ქსენონთა რიგი და წესი შეესწავლა; იმის გასაგებად, თუ როგორ ეკიდებიან ექიმები სულით ავადმყოფს, ბევრჯელ მოუგიჟიანებია თავი თითქმის სამის თვის განმავლობაში. ასეთი იყო ჩვენი რეპორტერი პიკნიუსი! ამიტომ საკვირველიც აღარ არის, რომ ეს კაცი გავგზავნეთ შტატს ოგაიოში ავაზაკის ჩამორჩობაზედ დასასწრებლად, ჯოე ვილკერსისა, რომელსაც ბრალად ედებოდა ორის მდიდრისა და მოხუცებულის გაუთხოვარ ქალის მოკვლა. პიკნიუსმა ჩვენ მიერ მინდობილი საქმე ჯეროვანად ვერ შეასრულა.

„პიკნიუსი მივიდა სასჯელის ადგილას. მთელი ქალაქი იქ გამოხვეტილიყო და დარჩობის სანახავს ელოდნენ, მით უმეტეს, რომ კაცის-მკვლელი ყოვლის მხრით საინტერესო იყო. ჯოე ვილკერსი ყოფილიყო ბანკის პატრონი, პოეტი, ხუროთ-მოძღვარი, არტისტი, მოქადაგე, მეფაბრიკე და, დასასრულ, კაცის მკვლელი, ერთის სიტყვით, სულ ყველაფერი. რადგან პიკნიუსს უნდოდა დარჩობის არავითარიმე წვლილი არ გამოეტოვებინა, სარჩობელასთან იდგა თურმე და ნება დართულიცა ჰქონდა, როგორც რეპორტერს ჩვენის გაზეთისას.

„აგერ გაიღო ციხის კარები და გამოჩნდნენ დარაჯნი, რომელთაც უკან მოჰყვებოდა დასასჯელი ჯოე. ჯოეს ყომრალი ტანისამოსი ეცვა, სწორეთ ისეთი, როგორიც ჩვენს რეპორტერს. სახითაც-კი ერთმანეთსა ჰგვანდნენ თურმე. მართლაც-და, ხომ მოხდება ხოლმე ასეთი ახირებული მსგავსება. დასასჯელი მივიდა სარჩობელასთან, ზორბა მუშტი შემოჰკრა ჯალათს, წააქცია და გაერია ხალხში, რომელმაც ხელიც არ ახლო. პოლიცია გამოედევნა გაქცეულს. რაღა თქმა უნდა, ჩვენი რეპორტერიც თან გაჰყვა, დასაჭერად კი არა, არა, იმის შესატყობლად, თუ რას იზამს, სად წავაო, რომ შემდეგ ეუწყებინა ჩვენთვის და ჩვენ კიდევ თქვენთვის, მკითხველო. მაგრამ აი რა საოცარი ამბავი მოხდა შემდეგ. პოლიციელნი მოეწივნენ პიკნიუსს, დაიჭირეს და მოიყვანეს სარჩობელასთან. ყველანი მოტყუვდნენ, რასაკვირველია, ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს ჩვენი რეპორტერი და კაცის-მკვლელი. პიკნიუსი წინაალმდეგობს, მაგრამ ამაოდ. არავინ ერწმუნება. მართლ-მსაჯულებას მსხვერპლი უნდა. კანონი და მისნი წარმომადგენელნი შეუბრალებელნი არიან. აგერ მოსამართლემ ხელი დაუქნია ჯალათს და პიკნიუსი... ჩამოარჩეს!

„სწორედ იმ დროს, როცა ჩვენმა რეპორტერმა სული განუტევა, ერთმა პოლიციელმა მოიყვანა თურმე მის მიერ დაჭერილი დასასჯელი ჯოე. ჯოე თხოულობს, რომ მალაპარაკეთ, სიტყვის თქმის ნება მომეცითო. თავისუფალს ამერიკაში სიკვდილით დასასჯელსაც-კი აქვს ამისი უფლება. ჯოემ დაიწყო თურმე ლაპარაკი და მშვენიერი, მეტად ჭკვიანი და გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. მან ნათლად დაუმტკიცა მოსამართლეებს, რომ, ჯერ ერთი, მაგ შეცდომაში მე არა მაქვს ბრალიო; მეორე—ამერიკის მართლ-მსაჯულებას მხოლოდ ერთის დარჩობის ნება ჰქონდა, არა ორისა და ერთი კაცი-კი უკვე ჩამოარჩობილიაო; მესამე—საზოგადოება დაკმაყოფილებულიაო; მეოთხე—განაჩენი, ავად თუ კარგად, შესრულებულია და ის-კი სულ ერთია, თუ რომელი ჩამოირჩოვო. ჯოემ მთელი ორი საათი ილაპარაკა და ბოლოს ისე დაარწმუნა და აუჩუყა გული მოსამართლეთ, რომ დამნაშავე გაანთავისუფლეს და აღტაცებულმა ხალხმა-კი ხელში აიტაცა, აქებდა და a „Ynkee Doodle“-ს უმღერდა.

„მთელი ეს ამბავი ერთმა უცნობმა კორრესპონდენტმა შეგვატყობინა. როგორ უნდა მოქცეულიყო ახლა, მკითხველო, რედაქცია?

„საგანგებო მატარებლით წავედით ოგაიოში და ჯოე ვიპოვნეთ.

— გსურთ ჩვენი რეპორტერობაო?—ვკითხეთ ჩვენ.

„— დიდის სიამოვნებითაო, — გვიპასუხა.

„—წელიწადში ჯამაგირად რას იმარებთ.

„ – 80,000 მანეთს.

„— თანახმანი ვართ, ხელი დაჰკარით!

„საყვარელნო მკითხველნო! პატივცემულნო ჯენტლმენნო და ქალბატონნო! ხვალ ჩვენის გაზეთის ფურცლებზედ დაიბეჭდება პირველი სარეპორტერო ანგარიში, დაწერილი ჯოე ვილკერსის მიერ. განცხადების ფასი მომატებული იქნება: პირველს გვერდზედ გამომცხადებელთ ერთი ათად უნდა გადაიხადონ, უკანასკნელზე—ერთი ხუთად. ვისაც გამოცხადება გინდათ რისიმე, დაიჩქარეთ! დრო ფულია და ამისთანა შემთხვევა—იშვიათი!

მეორე დღეს გაზეთ „Sun“-ისა 765.000 ეგზემპლიარი გაიყიდა თურმე, თითო ეგზემპლიარი ოთხ თაბახად იყო. მარტო განცხადების ფული რედაქციამ 20.000 მანეთი აიღო, ასე რომ თავისის ახალის რეპორტერის წლიურს ჯამაგირს პირველის ნომრიდგანვე გამოვიდა კიდეც.

◆◆

# დეპეშა

13 თებერვალი

ასხაბადი. ავღანისტანიდგან მოსულები გვაცნობებენ, რომ ავღანის ჯარები ჰერათისაკენ მოდიანო. აბდურახმან-ხანი ამ ჟამად ჩარეილაეტშია.

პეშტი. ვენგრიის სხვა-და-სხვა ქალაქიდგან იუწყებიან, რომ იქ გუშინ დიდ-ძალი ხალხი დადიოდა და თავისს უკმაყოფილებას აცხადებდა სამხედრო კანონ-პროექტის შესახებ. მანიფესტაცია იმ გვარივე იყო, როგორიც ამას წინად პეშტში მოახდინეს. მთავრობასთან შეტაკება არ მოსვლიათ.

პეტერბურგის ბირჟა, 10 თებერ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 46 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 149½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 09 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 270¼ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 252½ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 97¾ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 97½ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83 | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თებერვალი 28 დღით არის.

15 დღე ოთხშაბათი. წმ. მოციქ. ონისიმ. კათოლ. წმ. ფაუსტინესი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-27 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 6—38, ჩადის 5—48. მთვარე 28 დღისაა.

16 დღე ხუთშაბათი. წმ. პამფილესი და სხ. კათოლ. წმ. იულიანესი. სომეხ. წმ. ვართან დიდებულისა და 1306 მხედრისა.—გამოცხადდა ტფილისის ქართველთა და სომეხთა ეკკლესიებში მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, 1801 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. ტფილისში მზე ამოდის 6—37, ჩადის 5—49. მთვარე 29 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხის. | $3^1/_2$ › |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 „ |
| მე-3 — | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 „ |
| „ 2 „ | 8 „ |
| სუკი | 16 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 „ |
| ღორის ხორცი | 10 „ |
| „ 2 „ | 9 „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულ-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემბს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

## განცხადებანი


საპონი

პროვიზორის

**ა. მ. ოსტროუმოვისა**

თმის ჩამოსვლისა და თევოს ასაცილებლად.

სიყალბის ასაშორებლად, **ნამდვილი** საპონი ითხოვეთ, ისეთი, რომელსაც იარლიკზე უზდეს მთავრობის მიერ დამტკიცებული მარკა

**№ 3374.**

ისყიდება თითო 30 კაპ. დიდი ნაჭერი ღირს 50 კაპ. იშოვება აფთიაქებსა და საათფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში. საწყობი იმყოფება მოსკოვს, პოკროვკას, მაშკოვის შესახვევში, მერკულოვის სახლებში. (10—4)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110) ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედ- გენილი არ. ქუთათელაძე- საგან | მან. კაპ. „ 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა | „ 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა | „ 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 „ |
| სამართლის წიგნი კასტანგ რჟულ - მდებელისა (რუსულს ენაზე) | 3 50 |
| ვაზის ობი | „ 10 |


# ბ ა ლ ა ნ ს ი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვრისათვის 18[illegible]9 წლისა.

### ა ქ ტ ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასაში | 46,596 | 17 | | |
| გირაოს ფურცლებად | 59,300 | — | | |
| შესაცვლელ გირავნობის ფურცელთა კუპონების ახალ ფურცლებად | 32,160 | — | | |
| გასაუქმებელ გირავნობის ფურცელთა ძველ ტალონებად | 1.000,600 | — | 1.138 656 | 17 |
| 2) მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო და კერძო ბანკებში | 109,897 | 19 | 168,047 | 69 |
| ბ) კორრესპონდენტებთან | 58,150 | 50 | | |
| 3) მიბარებულობა: | | | | |
| ა) საწევრო ფული ტფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში | — | — | 60 | 57 |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 143,900 | 133,526 | 36 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები 58,500 | 56,560 | 76 | | |
| გ) კორრესპონდენტებთან 57,900. | 58,753 | — | | |
| % იმათი | 1,407 | 02 | 250,247 | 14 |
| 5) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $54^1/_2$ წლით. | 404,800 | — | | |
| ბ) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით. | 329,600 | — | | |
| გ) ქალაქის უძრავ ქონებაზე გირაოდ $27^1/_2$ წლით | 366,500 | — | | |
| დ) ქალაქის უძრავს ქონებაზედ გირაოდ 18 წლითა და 7 თთვით. | 3,600 | — | 1.104.500 | — |
| 6) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით. | 1.453,950 | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობაზე $27^1/_2$ წლით. | 3.690,950 | — | 5.144,900 | — |
| 7) სესხნი, რომელნიც გასაცემად არიან დანიშნულნი: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე $43^1/_2$ წლით. | — | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე $27^1/_2$ წ | — | — | | |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა შეღავათი (§ 13 წესდებისა): | | | | |
| ა) დიდ-ვადიან სესხზე | 217,614 | 85 | | |
| ბ) მცირე-ვადიან სესხზე. | 3,855 | 67 | 221,470 | 52 |
| 9) ვადა გასული შემოსატანი ფული. | — | — | 32,679 | 20 |
| 10) მცირე-ვადიანი სესხნი | — | — | 165,367 | — |
| 11) გირაოს ფურცლები საკომისიოდ მიღებულნი. | — | | | |
| 12) დასაბრუნებელი ხარჯი | — | — | 177,070 | 19 |
| 13) 5% სახელმწიფო გადასახადი კუპონებზე | — | — | 14 | 62 |
| 14) ხარჯი: | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის. | — | — | 3,070 | 90 |
| ბალანსი | | | 8.406,084 | — |

### პ ა ს ს ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის | 184,921 | 19 | | |
| ბ) მცირე-ვადიანის სესხისთვის | 149,060 | 01 | 333,981 | 20 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით. | 25,337 | 76 | | |
| ბ) ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა. | 44,853 | 03 | 70,190 | 79 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის. | — | — | | |
| 4) ზედამხედველის კომიტეტის ხელში. | — | — | 131 | — |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა | — | — | 851 | 30 |
| 6) გირაოს ფურცლები დასაბრუნებლად გაცემულნი 28 მაისის 1874 წლით წესდების ძალით: | | | | |
| $54^1/_2$ წლით | 404,800 | — | | |
| $43^1/_2$ › | 329,600 | — | | |
| $27^1/_2$ › | 366,500 | — | | |
| 18 წ. და 7 თთვით | 3,600 | — | 1.104,500 | — |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| $43^1/_2$ წლით | 1.437,600 | — | | |
| $27^1/_2$ „ | 3.674,550 | — | 5.112,150 | — |
| 8) გირაოს ფურცლები ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არა-ვალდებულის თავნის გადახდისათვის | — | — | 32,750 | — |
| 9) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი: | | | | |
| $43^1/_2$ წლით | — | — | | |
| $27^1/_2$ › | — | — | | |
| 10) გირაოს ფურცლები მიბარებულნი. | — | — | 17,700 | — |
| 11) მოსასპობლად დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით. | 22,700 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით | 1,193 | 92 | 23,893 | 92 |
| 12) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები ჯერ წარმოუდგენელნი გადასახდელად | — | — | 127,950 | — |
| 13) გირაოს ფურცლების გადასახადი კუპონები | — | — | 195,961 | 60 |
| 14) სარგებლის ფონდი | — | — | 186,765 | 39 |
| 15) თავნის გასასტუმრებელი ფონდი: | | | | |
| $54^1/_2$ წლით | 1,053 | 60 | | |
| $43^1/_2$ › | 1,642 | 57 | | |
| $27^1/_2$ › | 7,380 | 14 | | |
| 18 წ. და 7 თთვით | 328 | 23 | 10,404 | 54 |
| 16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| $43^1/_2$ წლით | 4,994 | 51 | | |
| $27^1/_2$ › | 41,440 | 68 | 46,435 | 19 |
| 17) თავნის გასასტუმრებელი ფული არასავალდებულო გადასახდელად იმ გირაოს ფურცლებისა, რომელნიც ურთიერთ შორის თავდებობის პირობით არიან გამოცემულნი. | — | — | 16 | 93 |
| 18) ა) კუპონის ახალი ფურცლები, შესაცვლელნი | 32,160 | — | | |
| ბ) ძველი გასაუქმებელი ტალონები. | 1.000,600 | — | 1.032,760 | — |
| 19) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულისა | 41,798 | 24 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით. | 18,900 | — | | |
| გ) სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები | 800 | — | 61,498 | 24 |
| 20) კორრესპონდენტები | — | — | | |
| 21) მსესხებელნი | — | — | 414 | 88 |
| 22) ნაღდი მოგება იყო | 49,205 | 18 | | |
| გამოირიცხება 3% გადასახადისა. | 1,476 | 16 | 47,729 | 02 |
| ბალანსი | | | 8.406,084 | — |

თავ-მჯდომარე ბანკის მმართველობისა თ. ი. გ. ჭავჭავაძე

მმართველობის წევრნი: { თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი; თ. ი. გ. მაჩაბელი }

ბუხჰალტერი თ. დ. ა. ფავლენიშვილი

Доз. ценз. Тифлисъ 14-го Февраля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე